

2013-2014

მინისტრის ხელვა



თბილისი 2013

2013-2014

საქართველოს
თავდაცვის სამინისტრო
თბილისი 2013



მინისტრის ხელვა

თავდაცვის მინისტრობა უდიდესი პატივი და პასუხისმგებლობაა. დღეს ჩვენი სამხედრო მოსამსახურეები არა მხოლოდ საქართველოს სადარაჯოზე დგანან, არამედ წვლილი შეაქვთ მსოფლიოს უსაფრთხოების განმტკიცებაში. ყველა პროფესია ღირსეულია და სახელმწიფოსგან დაფასებას მოითხოვს, მაგრამ შეიარაღებულ ძალებში სამსახური ამ მხრივ გამორჩეულია. ჩვენ ვაღივებულობთ ვართ, განსაკუთრებული პატივი ვცემთ სამხედრო მოსამსახურეებს და შევუქმნათ მათ ყველა საჭირო პირობა იმისთვის, რომ დაკისრებული მოვალეობები სრულყოფილად შეასრულონ. სწორედ ამას ემსახურება სამინისტროს მიერ 2013-2014 წლებისთვის დასახული პრიორიტეტები.

ბუნებრივია, ყველა პრობლემას ორ წელში ვერ გადავწყვეტთ, მაგრამ პარლამენტთან, მთავრობასთან და საზოგადოებასთან ერთად, შევძლებთ, მყარი საფუძველი ჩავუყაროთ საქართველოს შეიარაღებული ძალების გაძლიერებას და სამხედრო მოსამსახურეთა ღირსების სათანადო დონეზე დაცვას.

ირაკლი ალასანია
მინისტრი



შესავალი

„მინისტრის ხედვა“ არის საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სახელმძღვანელო დოკუმენტი 2013-2014 წლებისთვის. მასში ჩამოყალიბებულია ხედვა საქართველოს შეიარაღებული ძალების შესაძლებლობების გასაუმჯობესებლად, რათა ისინი მზად იყვნენ ქვეყნის დამოუკიდებლობის, ტერიტორიული მთლიანობისა და სუვერენიტეტის დასაცავად, საერთაშორისო სამშვიდობო ოპერაციებში მონაწილეობის მისაღებად, აგრეთვე ბუნებრივი და ტექნოგენური კატასტროფების დროს სამოქალაქო ხელისუფლების დასახმარებლად.

ჩვენი მიზანია, შევქმნათ ეფექტიანი, მობილური, თანამედროვე და პროფესიონალი შეიარაღებული ძალები, რომელიც თავსებადი იქნება ნატოსთან. ამ მიზნის მისაღწევად დაგეგმილი რეფორმები შესაბამისობაში იქნება „თავდაცვის სტრატეგიული მიმოხილვა 2013“-ში მოცემულ რეკომენდაციებთან, რამდენადაც ეს დოკუმენტი განსაზღვრავს შეიარაღებული ძალების განვითარების ძირითად მიმართულებებს 2017 წლამდე და აყალიბებს მათ სამომავლო სტრუქტურას. ამას გარდა, „მინისტრის ხედვა“ ეყრდნობა გასული წლების გამოცდილებას და არსებული საფრთხეებისა და საჭიროებების ანალიზს.

დასახული ამოცანების შესრულების პროცესში ჩვენი სახელმძღვანელო პრინციპები იქნება:

- თავდაცვის სამინისტროს ადამიანური რესურსების და უწყების გარეთ არსებული ინტელექტუალური რესურსის ეფექტიანად გამოყენება;
- ინსტიტუციური მეხსიერებისა და დღემდე მიღებული გამოცდილების გათვალისწინება;
- ინოვაციური მიდგომების დანერგვა;
- გადაწყვეტილებების მიღების პროცესის დეცენტრალიზაცია და გუნდური მუშაობა;
- თანამიმდევრულობა და გრძელვადიანი, სტრატეგიული დაგეგმვა.

2013-2014 წლებში თავდაცვის სამინისტროს პრიორიტეტები იქნება:

- გამჭვირვალობის გაზრდა და სამოქალაქო კონტროლის გაძლიერება;
- თავდაცვის შესაძლებლობების გაუმჯობესება;
- ადამიანური რესურსების მართვისა და პროფესიული განვითარების სისტემების განმტკიცება;
- ინსტიტუციური რეფორმების განხორციელება;
- ნატოსთან თავსებადობისა და საერთაშორისო თანამშრომლობის გაღრმავება.

თავდაცვის სისტემის ქვაკუთხედს სამხედრო და სამოქალაქო პერსონალი წარმოადგენს. შეიარაღებული ძალების სიძლიერესა და ბრძოლისუნარიანობას არა მხოლოდ სამხედრო მოსამსახურის ფიზიკური მომზადება და აღჭურვა, არამედ, უპირველესად, მისი პროფესიული განათლება და სოციალური დაცვის გარანტიები, აგრეთვე შეიარაღებული ძალების მიმართ სახელმწიფოს და საზოგადოების დამოკიდებულება განსაზღვრავს. ამდენად, საქართველოს უკეთ დასაცავად ჩვენი ყოველდღიური ძალისხმევა სწორედ სამხედრო მოსამსახურეთა განათლების, წვრთნის, კარიერის მართვისა და სოციალური დაცვისკენ იქნება მიმართული. ამ მიმართულებით განხორციელებული რეფორმები ნატოში ჩვენს ინტეგრაციასაც შეუწყობს ხელს.

გამჭვირვალობა და სამოქალაქო კონტროლი

თავდაცვის სამინისტრო აცნობიერებს თავდაცვის სისტემის გამჭვირვალობისა და ანგარიშვალდებულების მნიშვნელობას. გამჭვირვალობის მაღალი ხარისხი, აგრეთვე თავდაცვისა და უსაფრთხოების საკითხებით დაინტერესებულ სამოქალაქო საზოგადოებასთან აქტიური თანამშრომლობა მინიმუმამდე შეამცირებს შეცდომების დაშვებისა და არასწორი გადაწყვეტილებების მიღების რისკს, ხელს შეუწყობს თავდაცვის ტრანსფორმაციის პროცესის ეფექტიანად წარმართვას და რეფორმების წარმატებით განხორციელებას. გამჭვირვალობის გაზრდისა და სამოქალაქო კონტროლის გაძლიერებისათვის 2013-2014 წლებში განსაკუთრებულ ყურადღებას დავუთმობთ შემდეგ საკითხებს:

- **ფინანსურ-მატერიალური რესურსების ეფექტიანად გამოყენების უზრუნველსაყოფად** გადაუდებელი შესყიდვების მხოლოდ რეალურად გადაუდებელ შემთხვევებში გამოყენება; საიდუმლო შესყიდვების რაოდენობის მინიმუმამდე შემცირება და მათი ადეკვატურად დასაბუთება; ასევე, საიდუმლო შესყიდვების ადმინისტრირების დეტალური რეგულაციების გაწერა; ღია შესყიდვების პროცესის მონიტორინგში არასამთავრობო სექტორის წარმომადგენელთა ჩართვა;
- **ანგარიშვალდებულების გასაზრდელად** საქართველოს პარლამენტთან აქტიური თანამშრომლობა; თავდაცვის სფეროში განხორციელებული ცვლილებებისა და სამომავლო გეგმების შესახებ მინისტრის წლიური მოხსენებების მომზადება და წარდგენა პარლამენტისთვის;
- დაინტერესებულ ჯგუფებთან, საქართველოს მოქალაქეებთან, არასამთავრობო ორგანიზაციებთან, თავდაცვის სფეროს ექსპერტებთან, აკადემიურ წრეებთან, სამხედრო მოსამსახურეებთან, მათ ოჯახებთან და მედიასთან **კომუნიკაციის გასაუმჯობესებლად** საზოგადოებასთან ურთიერთობის ახალი სტრატეგიის და მისი განხორციელების წლიური გეგმების მომზადება;
- **მოქალაქეთა ინფორმირებულობის გასაზრდელად** თავდაცვის სფეროში მიმდინარე პროცესების შესახებ „თეთრი წიგნის“ მომზადება და გამოქვეყნება; პერიოდული საინფორმაციო ბიულეტენების გამოცემა და საქართველოს მოქალაქეებისთვის იმის შესაძლებლობის შექმნა, რომ დააკვირდნენ რეფორმების დინამიკას და შეაფასონ მათი წარმატებულობის ხარისხი; საჯარო ინფორმაციის გაცემის მექანიზმების დახვეწა;
- თავდაცვის საკითხებთან დაკავშირებით **ჟურნალისტთა უკეთესად ინფორმირების მიზნით** მედიასთან აქტიური კომუნიკაცია; პრესკონფერენციებისა და ბრიფინგების ხშირად გამართვა და ჟურნალისტებისთვის საინფორმაციო დისკუსიების ორგანიზება, რათა მათ შეძლონ მაქსიმალურად დეტალური და ამომწურავი ინფორმაციის მიღება და სფეროში სრულად გათვითცნობიერება;
- **უწყების გარეთ არსებული საექსპერტო რესურსის მაქსიმალურად გამოსაყენებლად** ექსპერტებთან, არასამთავრობო ორგანიზაციებთან და აკადემიურ წრეებთან მჭიდრო თანამშრომლობა; მათი მონაწილეობით თემატური სამუშაო ჯგუფების შექმნა და ამ და სხვა

ფორმატების გამოყენებით თავდაცვის სისტემის ტრანსფორმაციის პროექტებისა და კონცეპტუალური დოკუმენტების მომზადების პროცესში მათი ჩართვა.

თავდაცვის შესაძლებლობები

შეიარაღებული ძალების პროფესიონალიზმის, ორგანიზებულობის, მობილურობისა და საბრძოლო მზადყოფნის დონის ამაღლება ფინანსური, მატერიალური და ადამიანური რესურსების მაქსიმალურ მობილიზებას მოითხოვს. ტრანსფორმაცია რთული და ხანგრძლივი პროცესია. 2013-2014 წლებში განხორციელებული ცვლილებები საქართველოს შეიარაღებული ძალების საბოლოო სტრუქტურის ჩამოყალიბებისთვის მყარ საფუძველს შექმნის. ეს ცვლილებები შემდეგი მიმართულებებით განხორციელდება:

- **შეიარაღებული ძალების მართვისა და კონტროლის მექანიზმების დასახვეწად** გაერთიანებული შტაბის სტრუქტურული ოპტიმიზაცია; სამხედრო დაგეგმვის, მართვისა და კონტროლის სისტემის სრულყოფა; სახმელეთო ჯარების ბაზაზე აღმოსავლეთისა და დასავლეთის ოპერატიული სარდლობების ჩამოყალიბება; საშტაბო პროცედურების დახვეწა და სამხედრო პერსონალის გადამზადება;
- **დოქტრინებისა და საველე წესდებების დასახვეწად** მათი ერთიანი სისტემის განვითარება და ამ პროცესში წინა ოპერაციებისა და წვრთნების დროს მიღებული გამოცდილების გათვალისწინება; დოქტრინებისა და წესდებების შემუშავებისა და დანერგვის პროცესის ინსტიტუციონალიზაცია;
- **ამოცანებზე ორიენტირებული და ხარისხიანი წვრთნების ორგანიზებისათვის** თანამედროვე თეორიული და ტექნიკური საშუალებების გამოყენება და რეალურ საბრძოლო პირობებთან წვრთნების მაქსიმალურად მიახლოება; სამეთაურო-საშტაბო სწავლებების კომპონენტითა და სიმულაციური საშუალებებით გაერთიანებული და კომბინირებული საველე სწავლებების ორგანიზება;
- **სპეციალური ოპერაციების ძალების შესაძლებლობების გასავითარებლად** მათი დოქტრინის დახვეწა; სტრუქტურულ-ორგანიზაციული სრულყოფა; შესაბამისი წვრთნითა და აღჭურვიტ უზრუნველყოფა;
- **შეიარაღებული ძალების მობილურობისა და კონტრმობილურობის გასავითარებლად** მათი სწრაფი გადასროლისა და საინჟინრო საშუალებების გაუმჯობესება;
- **საჰაერო თავდაცვისა და თვალთვალის სისტემების დასახვეწად** საჰაერო თავდაცვის დოქტრინის და მისი მოდერნიზაციის სტრატეგიული, გრძელვადიანი გეგმის შემუშავება;
- **ლოგისტიკის გასაუმჯობესებლად** ლოგისტიკის მართვის კონცეფციის და შეიარაღებული ძალების ლოგისტიკური უზრუნველყოფის დოქტრინის შემუშავება; ლოგისტიკის სისტემის აღმოსავლეთისა და დასავლეთის ოპერატიული სარდლობების მოთხოვნებისთვის მორგება და ადგილობრივი რესურსებისა და ინფრასტრუქტურის მაქსიმალურად გამოყენება;

- **სამხედრო დაზვერვის სისტემის სრულყოფისათვის** დაზვერვის სტრატეგიული განვითარების გეგმის შემუშავება და დამტკიცება; სისტემის დახვეწა, ქვეყნის სხვა სადაზვერვო უწყებებთან კოორდინაციის გაუმჯობესება; რეკოგნისციებისა და თვალთვალის შესაძლებლობების გაზრდა და განვითარება;
- **სამხედრო ინფრასტრუქტურის მოსაწესრიგებლად** ახალი ოპერატიული გეგმების შესაბამისი ინფრასტრუქტურული საჭიროებების განსაზღვრა; ინფრასტრუქტურის განვითარებისა და მოდერნიზაციის გრძელვადიანი გეგმის შემუშავება; დღემდე ინიცირებული ინფრასტრუქტურული პროექტების პრიორიტეტულობის მიხედვით განვითარება;
- **რეზერვისა და მობილიზაციის სისტემის დასახვეწად** ამ კუთხით მიღებული გამოცდილების შესწავლა; არსებული მოთხოვნებისთვის მორგებული რეზერვისა და მობილიზაციის სისტემის კონცეფციის შემუშავება და დანერგვა.

ადამიანური რესურსების მართვისა და პროფესიული განვითარების სისტემები

სამოქალაქო და სამხედრო პერსონალის პროფესიული შესაძლებლობების გასავითარებლად 2013-2014 წლებში აქცენტს პროფესიული განვითარების პროგრამებსა და ადამიანური რესურსების მართვის სისტემის განვითარებაზე გავაკეთებთ. ამ სისტემის მნიშვნელოვანი ნაწილი მოქმედი სამხედრო მოსამსახურეების და ვეტერანების სოციალური და ჯანმრთელობის დაცვის პროგრამების გაუმჯობესება იქნება. ამით კიდევ ერთხელ დავადასტურებთ მათდამი ჩვენს პატივისცემას. განსაკუთრებულ ყურადღებას შემდეგ საკითხებზე გავამახვილებთ:

- **ადამიანური რესურსების მართვისა და პროფესიული განვითარების სისტემების დასახვეწად** შესაბამისი კონცეპტუალური დოკუმენტების მომზადება და განხორციელება; თავდაცვის სამინისტროს და შეიარაღებული ძალების სამოქალაქო და სამხედრო მოსამსახურეთა შერჩევის, კვალიფიკაციის ამაღლების, შეფასებისა და კარიერის მართვის სისტემების დახვეწა და ინსტიტუციონალიზაცია; სამხედრო და სამოქალაქო მოსამსახურეთა ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის პროგრამების გაუმჯობესება;
- **სამხედრო მოსამსახურეთა ანაზღაურების სისტემის რეფორმირებისათვის** თანამდებობრივი სარგოდან წოდებრივ სარგოზე გადასვლის გეგმის შემუშავება;
- **სამხედრო განათლებისა და წვრთნების ხარისხის ასამაღლებლად** ამ სისტემაში საუკეთესო კადრების შენარჩუნებასა და არსებული სამხედრო სასწავლებლების ინტეგრაციაზე ორიენტირებული სამხედრო განათლების ერთიანი პოლიტიკის შემუშავება; ეროვნული თავდაცვის აკადემიის ხედვისა და სასწავლო პროგრამების სრულყოფა; პროგრამის „პარტნიორობა მშვიდობისათვის“ (PfP) საჩხერის სამთო მომზადების ცენტრის შესაძლებლობების განვითარება; საერთაშორისო და ეროვნული საწვრთნელი პროგრამების დახვეწა; საგანმანათლებლო ინფრასტრუქტურისა და ტექნიკური აღჭურვილობის ხარისხის

გაუმჯობესება; წვრთნების თანამედროვე მეთოდების დანერგვა; სამხედრო ინსტრუქტორთა და მწვრთნელთა უნარ-ჩვევების განვითარება;

- **პროფესიულ შეიარაღებულ ძალებზე გადასვლის ხელშეწყობისათვის**, პირველ ეტაპზე, სავალდებულო სამხედრო სამსახურის ვადის 15-დან 12 თვემდე შემცირება; შეიარაღებული ძალების მთლიანად პროფესიულ სამსახურზე გადასვლის სამოქმედო გეგმისა და ფინანსური გათვლების მომზადება.

ინსტიტუციური რეფორმები

ინსტიტუციური რეფორმების მიზანია თავდაცვის დაგეგმვის, მართვის და რესურსების განაწილების სისტემების მოდერნიზება. ეს არსებული კონცეფციების, პროცესების, ორგანიზაციული სტრუქტურების და ტექნოლოგიების განახლებას გულისხმობს. ინსტიტუციური რეფორმების თვალსაზრისით აქცენტებს შემდეგ მიმართულებებზე გავაკეთებთ:

- **თავდაცვის სისტემის მართვის გასაუმჯობესებლად** გადაწყვეტილებების მიღების პროცესის შესწავლა და დეცენტრალიზაცია; გადაწყვეტილების მიმღები საბჭოს, მართვის ჯგუფისა და სამუშაო ჯგუფების ამოქმედება, შემუშავებული გეგმების შესრულების მონიტორინგის ქმედითი მექანიზმების დანერგვა;
- **თავდაცვის სისტემის მდგრადი განვითარებისათვის** დაგეგმვის ინსტიტუციონალიზაცია და ამ კუთხით სამინისტროსა და გაერთიანებულ შტაბს შორის კოორდინაციის გაუმჯობესება; დაგეგმვის, პროგრამირებისა და ბიუჯეტირების არსებული სისტემის (PPBS) ანალიზი და განვითარება; შემდგომი წლების ბიუჯეტების PPBS-ის ფორმატში მომზადება;
- **ეროვნული უსაფრთხოების განმტკიცებისათვის** თავდაცვის სამინისტროსა და სხვა პასუხისმგებელ უწყებებს შორის თანამშრომლობის გააქტიურება.

ნატოსთან თავსებადობა და საერთაშორისო თანამშრომლობა

ნატოში ინტეგრაცია საქართველოს საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკის ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტია. დღეს საქართველო ნატოს ასპირანტი ქვეყანაა. ჩვენი ამოცანაა, თანამიმდევრული ნაბიჯებითა და აქტიური ძალისხმევით ხელი შევუწყოთ სახელმწიფოს ევროატლანტიკურ ინტეგრაციას. თავდაცვის სამინისტროს მიერ დაგეგმილი რეფორმები, პირველ რიგში, ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის ამაღლებას ემსახურება, თუმცა, ამასთანავე, მის ნატოში ინტეგრაციას უყრის მყარ საფუძველს.

თავდაცვის სამინისტრო გააგრძელებს მჭიდრო თანამშრომლობას ჩრდილოატლანტიკურ ალიანსთან ნატო-საქართველოს კომისიის, ყოველწლიური ეროვნული პროგრამის, დაგეგმვისა და მიმოხილვის პროცესის, ნატო-საქართველოს სამხედრო თანამშრომლობის არსებული სამუშაო

გეგმის, ნატოს ნდობის ფონდის, პროფესიული განვითარების პროგრამის და სხვა ინსტრუმენტების ფარგლებში. გაგრძელდება ავღანეთში მიმდინარე საერთაშორისო უსაფრთხოების მხარდამჭერი ძალების (ISAF) ოპერაციასა და მისი შემდგომი პერიოდის დაგეგმვის პროცესში მონაწილეობაც. სამინისტრომ გამოყო ერთი მსუბუქი ქვეითი ქვედანაყოფი ნატოს ოპერატიული შესაძლებლობების კონცეფციის შეფასებისა და ანალიზის პროგრამისათვის შემდგომში მისი ნატოს საპასუხო ძალებში მონაწილეობის მიზნით.

ამას გარდა, გავაღრმავებთ ჩრდილოატლანტიკური ალიანსის წევრ და პარტნიორ ქვეყნებთან ორმხრივ ურთიერთობებს. ამ მხრივ ჩვენთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია თანამშრომლობა ამერიკის შეერთებულ შტატებთან და საქართველოსა და აშშ-ს შორის გაფორმებული სტრატეგიული პარტნიორობის ქარტიის პრიორიტეტების განხორციელება.

თავდაცვის სამინისტრო აქტიურად განაგრძობს თანამშრომლობას სამხრეთ კავკასიის რეგიონის სახელმწიფოებთანაც როგორც ორმხრივი, ისე მრავალმხრივი ინიციატივების ფორმატით. ასევე, ვგეგმავთ საქმიანი ურთიერთობის დამყარებას აზიის ქვეყნებთან, მათი გამოცდილებისა და თავდაცვის სისტემების მოწყობის სპეციფიკის გათვალისწინებით.

დასკვნა

თავდაცვის სისტემის ტრანსფორმაცია ხანგრძლივი პროცესია. თანამედროვე და პროფესიული შეიარაღებული ძალების შექმნა მხოლოდ თანამიმდევრული და კომპლექსური ძალისხმევით არის შესაძლებელი. აღნიშნული პროცესი 2013-2014 წლების შემდეგაც გაგრძელდება, თუმცა გვჯერა, რომ „მინისტრის ხედვაში“ განსაზღვრული პრიორიტეტები მას სწორ ბიძგს მისცემს, სტაბილური განვითარების ჩარჩოებში მოაქცევს და ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის შესაძლებლობებს მნიშვნელოვნად გააუმჯობესებს.

თავდაცვის სისტემაში დაგეგმილი რეფორმები საქართველოს ხელისუფლების ზოგად პრინციპებს შეესაბამება. ჩვენ მიგვაჩნია, რომ გამჭვირვალობა და ანგარიშვალდებულება სწორი მმართველობის აუცილებელი წინაპირობებია. ეს უსაფრთხოების სფეროსაც ეხება. თავდაცვის სამინისტრო იმოქმედებს ღიად და გამჭვირვალედ. გამოვთქვამთ იმედს, რომ საზოგადოება აქტიურად ჩაერთვება თავდაცვის ტრანსფორმაციის პროცესში.

